

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2022 წლის _____ დეკემბერი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში, I სართულზე მდებარე N1 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში, I სართულზე მდებარე 62,90 კვ.მეტრი N1 ბინა (საკადასტრო კოდი: 05.33.22.107.01.001).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში, I სართულზე მდებარე N1 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 07 დეკემბრის N7061/02 (N07-1422341202-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2022 წლის 10 ივნისის N30 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული დაურეგისტრირებელი ბინა N1-ის (ფართი 62.90 კვ.მეტრი) ფაქტობრივი მფლობელის (ლია მჭავანაძე-პ/ნ61004025682) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2022 წლის 10 ივნისის N22 სარეკომენდაციო გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, შემდგომში, ამ უძრავი ქონების იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე საკუთრების უფლებით გადასაცემად

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდა ზემოხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შემდეგი მონაცემებით: ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე, არსებული ბინა N1-62,90 კვ.მ ფართით (ს.კ.

05.33.22.107.01.001), ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 05.33.22.107.01.001). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე (ლია მჭავანაძე-პ/ნ 61004025682) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

„სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2022 წლის 10 ივნისის N30 ოქმით განიხილა და ამავე კომისიის 2022 წლის 10 ივნისის N22 რეკომენდაციის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში, I სართულზე მდებარე 62,90 კვ.მეტრი N1 ბინის (საკადასტრო კოდი: 05.33.22.107.01.001) კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე



№ 7061/02

"07" 12 2022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2022 წლის 10 ივნისის N30 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული დაურეგისტრირებული ბინა N1-ის (ფართი 62,90 კვ.მეტრი) ფაქტობრივი მფლობელის (ლია მჟავანაძე - პ/ნ 61004025682) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2022 წლის 10 ივნისის N22 სარეკომენდაციო გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით. შემდგომში, ამ უძრავი ქონების იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე საკუთრების უფლებით გადასაცემად.

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდეს ზემოხსენებული უძრავი ქონების

სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შემდეგი მონაცემებით: ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე, არსებული ბინა N1 - 62,90 კვ.მ. ფართით (ს/კ 05.33.22.107.01.001), ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს/კ 05.33.22.107.01.001). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე (ლია მჟავანაძე - პ/ნ 61004025682) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N66-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.107) N01/2 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე, არსებული ბინა N1 - 62,90 კვ.მ. ფართი (ს/კ 05.33.22.107.01.001).

დანართი: „ 18 “ ფურცელზე

პატივისცემით,
თორნიკე რიჟვაძე

